# კერძო აღმასრულებელი ერეკლე ღვინიანიძე

ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი N117, II სართული. ტელ: 577 111 215; ელ.ფოსტა: …

ქ-ნ მ. ქადეიშვილს
ქ-ნ თ. ხუხუნაიშვილს

გასაცნობად და საქმეში გასათვალისწინებლად

კ.ბექაური
16.11.2017

**A17132051-005/0…**
16.11.2017

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიას

მის: თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ/ბოჭორმის ქ. **50/18**

გაცნობებთ, რომ კერძო აღმასრულებელ ერეკლე ღვინიანიძის (ლიცენზია #54, მის: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. 117) წარმოებაშია **#A17132051** სააღსრულებო საქმე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ 2017 წლის 15 ნოემბერს გაცემული და კრედიტორის – შპს ნიუ კონტენტის (405093287) მიერ წარმოდგენილი სააღსრულებო ფურცელი # 2/31450-17 აღსრულების შესახებ სააღსრულებო ფურცლის თანახმად

„მოპასუხე სს „გლობალ კონტაქტ კონსალტინგს" (204952275) აეკრძალოს მის საკუთრებაში არსებული საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის 30 ნოემბრის #769/6 გადაწყვეტილების საფუძველზე მისთვის გაცემული (აღრიცხულ) რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის N F36-სა და N F54-ს და საოპერაციო აქტივების: ანტენების, ანტენის თავაკების, სპლიტერების, კონექტორების, კოაქსიალური კაბელების - გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა".

მიმდინარე წლის 16 ნოემბერს, სს „გლობალ კონტაქტ კონსალტინგს" (204952275) „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის და 25-ე მუხლის შესაბამისად მოვალე სს გლობალ კონტაქტ კონსალტინგს» (ს/კ 204952275) გაეგზავნა წინადადება გადაწყვეტილების ნებაყოფლობით დაუყოვნებლივ შესრულების შესახებ, ასევე, მოვალე გაფრთხილებულ იქნა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების (განჩინების) შეუსრულებლობის ან/და მისი აღსრულებისათვის ხელის შეშლის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ.

დანართი: 1) სააღსრულებო ფურცელი **N 2/31450-17** (ასლი) – 1ფ;

2) წინადადება გადაწყვეტილების შესრულების შესახებ **#A17132051-004/001** – 1ფ.

კერძო აღმასრულებელი

*ერეკლე ღვინიანიძე*

ერეკლე ღვინიანიძე

ჯ6/8866-17
16.11.17
1+2

საქმე N2/31450-17

3739348176298

www.info.court.ge

# სააღსრულებო ფურცელი

15.11.2017 წელი

ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლო
მოსამართლე ლია ავალიშვილი

მოსარჩელე: შპს ,,ნიუ კონტენტი"
წარმომადგენელი: თეიმურაზ ხონელია
მოპასუხე: სს ,,გლობალ კონტაქტ კონსალტინგი"
დავის საგანი: თანხის დაკისრება

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

15 ნოემბერი 2017 წელი

გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტანი სასამართლო, გამოტანის თარიღი

გადაწყვეტილების (განჩინების) სარეზოლუციო ნაწილი:

2. მოპასუხე სს ,,გლობალ კონტაქტ კონსალტინგი"-ს (ს/ნ 204952275) აეკრძალოს მის საკუთრებაში არსებული საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის 30 ნოემბრის #769/6 გადაწყვეტილების საფუძველზე მისთვის გაცემული (აღრიცხულ) რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის №F36-სა და №F54-ს და საოპერაციო აქტივების: ანტენების, ანტენის თავაკების, სპლიტერების, კონექტორების, კოაქსიალური კაბელების - გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა.

კრედიტორის დასახელება და რეკვიზიტები: შპს ,, ნიუ კონტენტი", ს/ნომერი: 405093287, მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N54ა, ბინა 25.

მოვალის დასახელება და რეკვიზიტები: შპს ,,გლობალ კონტაქტ კონსალტინგი", ს/ნომერი: 204952275, მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. 89/24, მე-10 სართული.

სააღსრულებო ფურცლის გაცემის თარიღი 15.11.2017 წელი.

მოსამართლე:

ლია ავალიშვილი

1

# კერძო აღმასრულებელი ერეკლე ღვინიანიძე

ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი N117, II სართული. ტელ: 577 111 215; ელ.ფოსტა: egvinianidze@mail.ru; ვებ-გვერდი: www.nbe.gov.ge


A17132051

კოდი 40015457951748

**A17132051-004/001**

16.11.2017

მოვალეს: სს გლობალ კონტაქტ კონსალტინგი (204952275)

მის: თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, დავით აღმაშენებლის გამზ., №89/24, სართ. 10

## წინადადება გადაწყვეტილების შესრულების შესახებ

კერძო აღმასრულებელ ერეკლე ღვინიანიძის (ლიცენზია #54, მის: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. 117) წარმოებაშია **#A17132051** სააღსრულებო საქმე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ 2017 წლის 15 ნოემბერს გაცემული და კრედიტორის – შპს ნიუ კონტენტის (405093287) მიერ წარმოდგენილი სააღსრულებო ფურცელი # 2/31450-17 აღსრულების შესახებ. სააღსრულებო ფურცლის თანახმად:

„მოპასუხე სს „გლობალ კონტაქტ კონსალტინგს" (204952275) აეკრძალოს მის საკუთრებაში არსებული საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის 30 ნოემბრის #769/6 გადაწყვეტილების საფუძველზე მისთვის გაცემული (აღრიცხულ) რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის N F36-სა და N F54-ს და საოპერაციო აქტივების: ანტენების, ანტენის თავაკების, სპლიტერების, კონექტორების, კოაქსიალური კაბელების - გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა".

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად მოგმართავთ, ამ მომართვის მიღებისთანავე დაუყოვნებლივ ნებაყოფლობით აღასრულოთ სააღსრულებო ფურცლის მოთხოვნა

გაფრთხილებთ, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების (განჩინების) შეუსრულებლობა ან/და მისი აღსრულებისათვის ხელის შეშლა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი: სააღსრულებო ფურცელი **N 2/31450-17** (ასლი) – 1ფ.

კერძო აღმასრულებელი

*ერეკლე ღვინიანიძე*